ნატო ბაღიაშვილი

ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ესპანეთი

2026 წლის 1-5 ივნისს, ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში, Erasmus+ ადმინისტრაციული მობილობის ფარგლებში, სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა მენეჯერმა, ნატო ბაღიაშვილმა, მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კვირეულის პროგრამაში, რომელსაც ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი მასპინძლობდა.

პროგრამის ფარგლებში, მონაწილეები გაეცნენ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე მიდგომებსა და მექანიზმებს, უნივერსიტეტის საერთაშორისო განვითარების სტრატეგიებსა და საერთაშორისო მარკეტინგის პრაქტიკებს. საერთაშორისო კვირეულის განმავლობაში მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაეზიარებინათ საკუთარი გამოცდილება, გაცნობოდნენ სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკებს და განეხილათ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები. პროგრამა ასევე მოიცავდა კულტურულ აქტივობებს, მათ შორის ვალენსიის ისტორიული ცენტრის მონახულებას.

ვიზიტი მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იყო პროფესიული განვითარების, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და ახალი პარტნიორული კავშირების ჩამოყალიბებისთვის.